საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge;

KA000097023382026

№ 02-48-R **18 / ივნისი / 2026 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების (არჩევნების) პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 56–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე–14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 მარტის N07/2021 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის, „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 20 მაისის #19/2026 დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების (არჩევნების) პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **დალი დავლიანიძე** – (საქმისწარმოების სამსახურის უფროსი), კომისიის წევრი;

ბ) **მარიამ ელიზბარაშვილი** – (ადამიანური რესურსების დეპარტამენტის სპეციალისტი), კომისიის წევრი;

გ) **ხატია ჟორჟოლიანი** – (რექტორის თანაშემწე), კომისიის წევრი;

დ) **ნინო უშიკიშვილი** – (სასწავლო დეპარტამენტის უფროსი), კომისიის წევრი;

ე) **ელენე ელიოზიშვილი** – (ხარისხის სამსახურის სპეციალისტი), კომისიის წევრი.

2. დაევალოს საარჩევნო კომისიას სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების მოქმედ კანონმდებლობასთან, "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 30 მარტის N07/2021 დადგენილებასთან, კონსერვატორიის სათანადო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.

3. საარჩევნო კომისიის წევრებს შესრულებული სამუშაოსათვის კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მიეცემათ ანაზღაურება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

6. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	გიორგი ვაჩნაძე